თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი № 16

„22“ აგვისტო 2023 წ. ქ. თელავი

**თავმჯდომარეობდა :** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **თენგიზი მთვარელიშვილი;**

**სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:**

თავმჯდომარის პირველი მოადგილე **მამუკა ბურდიაშვილი;**

თავმჯდომარის მოადგილეები: **ალექსანდრე შათირიშვილი, მიხეილ დალუნდარიძე;**

საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თვმდომარე **ზურაბ ლილუაშვილი;**

სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხაჭაპურიძე;**

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის
და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი;**

ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე;**

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი **ნინო ჩურხაული;**
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ზურაბ სახიაშვილი;**
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურის და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **თედო ხოსროშვილი;**

საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

## დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. თ.მთვარელიშვილი
12.00სთ-დან - 12.30 სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 6 თვის მიმოხილვის შესახებ.

მომხს. ზ.ლილუაშვილი
12.30.სთ-დან - 12.40სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ალექსადრე შათირიშვილის შვებულების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. თ.მთვარელიშვილი
12.40.სთ-დან - 12.50სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თენგიზი მთვარელიშვილის შვებულების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. თ.მთვარელიშვილი
12.50.სთ-დან - 13.00სთ-მდე

<u>მოისმინეს:1.</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. თ.მთვარელიშვილი
12.00სთ-დან - 12.30 სთ-მდე

**თ.მთვარელიშვილმა** ბიუროს წევრებს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარუდგინა ის საკითხები, რომლებიც განხილულია საკრებულოს კომისიების მიერ.

აგრეთვე **თ.მთვარელიშვილმა** აღნიშნა, რომ 2023 წლის 21 აგვისტოს შემოსულია საკრებულოს წევრის ზვიადი ხანჯალიაშვილის განცხადება, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, აღნიშნული საკითხი საჭიროა შეტანილ იქნეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

**ნ.ჩურხაულმა დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხი:**
„თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე" - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ".

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების სს „სილქნეტისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით 5 წლის ვადით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ **ბიუროს წევრების** მიერ გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ 5 წლის ვადა შეიცვალოს 3 წლის ვადით.

**ბიუროს წევრების მიერ** აღინიშნა „თელავის ჭადრის ხისთვის ადგილობრივი მნიშვნელობის დაცული ხის სტატუსის მინიჭების შესახებ" განკარგულების პროექტში სრულყოფილად არ არის ასახული ჭადრის ხის მოვლა პატრონობის ღონისძიებების განხორციელების თაობაზე, რადგან მარტო ხის სტატუსის მინიჭება ვერ შეცვლის 900 წლიანი ჭადრის ეხლანდელ მდგომარეობას. შესაბამისად, ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება წარმოდგენილი პროექტი დღის წესრგში არ იქნეს შეტანილი.

„თელავის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების და ჯილდოს შემოღების, მინიჭების წესის და საპატიო სიგელის ფორმის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის შესახებ **ზ.ლილუაშვილმა და ა.შათირიშვილმა** აღინიშნეს, რომ **"მუხლი 3. საპატიო ჯილდოს მინიჭების წესის ა) ქვეპუნქტში აღნიშნულია „ქეთევან იაშვილის სახელის ჯილდო" - ენიჭება მეცენატე ქალს"**, რომელიც არ მიაჩნიათ სწორად, რატომ უნდა მიენიჭოს მხოლოდ ქალს და არა მამაკაცს. რადგან დაცული არ იქნება გენდერული თანასწორობა.

__გადაწყვიტეს:__ **2023 წლის 29 აგვისტოს, 14.00 საათზე** მოწვეულ იქნეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი **დღის წესრიგის** პროექტით:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზვიადი ხანჯალიაშვილისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

   მომხს. ლ.ზერძენაშვილი
   14.00სთ-დან - 14.10 სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე".

   მომხს. ნ.ვაყელიშვილი
   14.10სთ-დან - 14.30სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე" - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

   მომხ. ნ.ვაყელიშვილი
   14.30სთ-დან-14.40სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 თებერვლის N10 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. თ.ხოსროშვილი
14.40სთ-დან - 14.50სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების სს „სილქნეტისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს.ზ.სახიაშვილი
14.50სთ-დან - 15.00სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების და ჯილდოს შემოღების, მინიჭების წესის და საპატიო წოდების სიგელის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. თ.ხანჯალიაშვილი
15.00სთ-დან - 15.10სთ-მდე

მოისმინეს:2. თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 6 თვის მიმოხილვის შესახებ.
მომხს. ზ.ლილუაშვილი
12.30.სთ-დან - 12.40სთ-მდე

საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ზ.ლილუაშვილმა** ბიუროს წევრებს წარუდგინა თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შეფასება.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

მოისმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრე შათირიშვილის შვებულების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. თ.მთვარელიშვილი
12.40.სთ-დან - 12.50სთ-მდე

**თ.მთვარელიშვილმა** აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ა.შათირიშვილმა** 2023 წლის 4 სექტემბრიდან - 05 ოქტომბრის ჩათვლით უნდა ისარგებლოს კუთვნილი შვებულებით, რომელიც მისაღებია ცნობად.

გადაწყვიტეს: **მიღებულ იქნეს ცნობად** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრე შათირიშვილის შვებულება, 2023 წლის 04 სექტემბრიდან - 05 ოქტომბრის ჩათვლით.

მოისმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თენგიზ მთვარელიშვილის შვებულების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. თ.მთვარელიშვილი
12.50.სთ-დან - 13.00სთ-მდე

თ.მთვარელიშვილმა აღნიშნა, 2023 წლის 29 აგვისტოდან - 05 სექტემბრამდე ისარგებლებს შვებულებით.

გადაწყვიტეს: **მიღებულ იქნეს ცნობად** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თენგიზ მთვარელიშვილის შვებულება, 2023 წლის 29 აგვისტოდან 05 სექტემბრამდე.

საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზი მთვარელიშვილი